ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5854838

ნომერი: AR1871276

თარიღი : 10.01.2022

გაცემის თარიღი : 18.03.2022

გაცნობის თარიღი : 18.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი, N 13თ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა ძლიერიშვილი პ/ნ 35001005358
- რუსთავი გ.ოდიშარიას ქ. კორ. 25 ბ. 8

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3106260
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 3.02.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კობა ძლიერიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: გუმბათი ჰოლდინგი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404473431
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: სოსო მაჩაიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 35001015126

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2321.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1700.4
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 14364.7
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 4093.7
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 3946.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 2666.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1507.8
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 19.5
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 2131.3
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 51372.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 46765.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4606.8
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 78.66
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 74.66
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1- 1260.9 - 0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2- 10967.8 - 4.7
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3 – 563.6 - 0.2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4295791
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 12.07.2018

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4295791
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 12.07.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1.დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: წარმოდგენილ იქნეს შპს „გუმბათი ჰოლდინგის“ მიერ განმცხადებლეზე გაცემული მინდობილობა. ზვიად ყანჩაველის მიერ მამუკა ხაღულაშვილზე გაცემული მინდობილობა არ ითვალისწინებს გადანდობის უფლებამოსილებას, ამასთან აღნიშნული მინდობილობა ვადაში იყო 2015 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით, შესაბამისად წარმოსადგენია ზვიად ყანჩაველის მიერ გაცემული თანხმობა

წარმოდგენილი სახით შეთანხმებული პროექტის ცვლილებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. ასევე, წარმოსადგენია კახაბერ ამაშუკელის მიერ გაცემული თანხმობა, ვინაიდან მის მიერ ლევან კანდელაკზე გაცემული მინდობილობა არ ითვალისწინებს გადანდობის უფლებამოსილებას. აგრეთვე, წარმოდგენილ იქნეს ნოდარ მამუკაშვილის, კახაბერ აბჟანდაძის, ია ფეიქრიშვილის, ალექსი ცხვედიანის, არჩილ მეყანწიშვილის, ლერი ჭიჭინაძის, ელენე ხუხაშვილისა, თამარ ურდულაშვილისა და ნელი გულვერდაშვილის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობები წარმოდგენილი სახით პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადასაცემი ფართებს არ არის წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული და ამასთან კალენდარული გრაფიკით მოთხოვნილი მშენებლობის ნებართვის ვადა აჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას. ასევე, არ არის წარმოდგენილი შპს „თამარაშვილი 13“ მიმართ არსებული ვალდებულების საფუძვლები, შესაბამისად წარმოსადგენია აღნიშნული დოკუმენტაცია სრულად, საჭიროების შემთხვევაში შპს „თამარაშვილის 13“ სათანადო წესით დამოწმებულ თანხმობასთან ერთად. აგრეთვე, წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში თანხმობას დაერთოს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

2.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; (თქვენ მიერ წარმოდგენილია დადგენილება მშენებლობის შეჩერების შესახებ)

3."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: საჭიროა გადაიხადოთ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი დამატებული კ2 კოეფიციენტის რიცხვითი მაჩვენებლის ოთხმაგი ოდენობით

4. ქ. თბილისის მუნციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N498 განკარგულების "ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საჭროა დამატებით წარმოდგენილი იქნას სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.